პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 158 (10855)
შაბათი
6
ივლისი
1957 წ.

ფასი 20 კაპ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲣᲠᲧᲔᲕᲘᲐ!

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, რომელიც გაიმართა 1957 წლის 22-29 ივნისს, და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „იმ დროს, როცა პარტია ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, მთელი ხალხის მხარდაჭერაზე დაყრდნობით, უდიდეს მუშაობას ეწევა XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი აღმავლობა, შინაპარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენა, რევოლუციური კანონიერების დარღვევათა ლიკვიდაცია, ხალხის მასებთან პარტიის კავშირის გაფართოება, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის განვითარება, საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცება, სწორი ეროვნული პოლიტიკის განხორციელება, ხოლო საგარეო პოლიტიკის დარგში — მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო დაძაბულობის შენელება; და როცა ყველა ამ დარგში უკვე მიღწეულია სერიოზული წარმატებანი, რომლებიც თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა იცის, — ამ დროს მალენკოვის, კაგანოვიჩისა და მოლოტოვის ანტიპარტიულმა ჯგუფმა გაიღაშქრა პარტიის ხაზის წინააღმდეგ“.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში მოცემულია ამ ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობის ამომწურავი დახასიათება. პარტიის პოლიტიკური ხაზის შეცვლის მიზნით ეს ჯგუფი ანტიპარტიული, ფრაქციული მეთოდებით ცდილობდა შეეცვალა შემადგენლობა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა, რომლებიც არჩეული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში, როცა პარტიამ აიღო პიროვნების კულტით წარმოშობილი შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსწორების მტკიცე კურსი და წარმატებით იბრძვის მარქსიზმ-ლენინიზმის რევოზიონისტების წინააღმდეგ როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ჩვენს ქვეყანაში, როცა პარტიამ დიდი მუშაობა გასწია ლენინური ეროვნული პოლიტიკის იმ დარღვევებთა გამოსასწორებლად, რომლებიც წარსულში იყო დაშვებული, ახლა გამოვლინებული და მთლიანად მხილებული ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი მუდამ პირდაპირ ან არაპირდაპირ წინააღმდეგობას უწევდნენ ამ კურსს, რომელიც მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. ანტიპარტიული ჯგუფი გამოდიოდა პარტიის ისეთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა წინააღმდეგ, როგორიც არის მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება და ადგილობრივი საბჭოების როლის გაძლიერება, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის წესის შეცვლა, მრეწველობის მართვის გარდაქმნა, მთელ რიგ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელთა მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ეს ჯგუფი არსებობად ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მსოფლიოს ყველა ხალხთან სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის დამყარების ლენინური კურსისათვის.

ხელმძღვანელობდა რა პარტიის ლენინური ერთიანობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცების ინტერესებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაგმო, როგორც ჩვენი პარტიის ლენინურ პრინციპებთან შეუთავსებელი, მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა. პლენუმმა პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობიდან და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. მალენკოვი, კაგანოვიჩი და მოლოტოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტიდან მოხსნა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან და ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. შეპილოვი.

მრავალი ცნობა, რომლებიც რედაქციას მოსდის, მოწმობს, რომ მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი მხარდაჭერას ეწევა ცენტრალური კომიტეტის ამ ბრძოლას. ეს ლოზუნგი ახალი გამოხატულებაა კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვისა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გაიღაშქრეს რა ამ ლოზუნგის წინააღმდეგ, ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებმა ცხადყვეს ბატონყაფური უჯულებელმყოფელი დამოკიდებულება ხალხის ფართო მასების საარსებო სასიცოცხლო ინტერესებისადმი და თავიანთი ურწმუნობა უდიდესი შესაძლებლობებისადმი, რომლებიც სოციალისტურ მეურნეობაშია, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დაჩქარებული აღმავლობისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო მოძრაობისადმი.

საბჭოთა ადამიანები საკადრის პასუხს აძლევენ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებს, რომლებიც მოსწყდნენ ხალხს, მის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, რომლებსაც არა სწამთ მისი შემოქმედებითი ძალები. კიშინოვში კრებაზე გამოვიდა ჩადირ-ლუნგის რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრი დომნა ზაქარიას ასული ჩეკირი, რომელმაც თქვა:

— ნება მიბოძეთ მე, უბრალო კოლმეურნეს, განვაცხადო, რომ არასოდეს და არავის არ მივცემთ ნებას ხელყოს ჩვენი ბედნიერება. ჩვენ გავაცამტვერებთ იმათ გეგმებს, ვინც განიზრახავს ხელი შეგვიშალოს წინსვლაში. მე გავიგე, რომ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი ამტკიცებენ, რომ ჩვენ ვერ დავეწევით ამერიკას ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ... დაე რამდენიც ნებავთ იმდენი დაეჭვდნენ მალენკოვი, კაგანოვიჩი და მოლოტოვი. ხოლო ამერიკას ჩვენ დავეწევით და გავუსწრებთ! ამას ვაცხადებ მე, ამაში დარწმუნებულია ყველა კოლმეურნე.

ასე ამბობს, ასე ფიქრობს მილიონობით საბჭოთა ადამიანი, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის ლენინურ ხაზს, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლებსაც ღრმად სწამთ კომუნიზმის მშენებელი ხალხის ძალები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ყველა მშრომელნი მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამჭვალულია ლენინიზმის სულისკვეთებით და რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობის ძალების განმტკიცებისათვის. მოძმე პარტიები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია ცდებს დაერღვიათ პარტიის ერთიანობა და იერიში მიეტანათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ ხაზზე, XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე.

ბურუჟუაზიული პრესაც კი, რომელიც ჩვეულებრივ ცდილობს დაამახინჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, იძულებულია აღიაროს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ ღონისძიებებს საბოლოო ანგარიშით მოჰყვება საერთაშორისო ატმოსფეროს გაუმჯობესება და ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეები იყვნენ და არიან ძველი წარმოდგენებისა და მეთოდების ტყვეობაში, მოსწყდნენ პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებას, ვერ ხედავენ ახალ პირობებს, ახალ ვითარებას, იჩენენ კონსერვატიზმს. ისინი ჯიუტად ებღაუჭებიან მუშაობის დრომოკმული ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც არ შეესაბამება კომუნიზმისაკენ წინსვლის ინტერესებს, უარყოფენ იმას, რასაც ცხოვრება წარმოშობს და რაც გამომდინარეობს საბჭოთა საზოგადოების განვითარების ინტერესებიდან, მთელი სოციალისტური ბანაკის ინტერესებიდან. ისინი, სექტანტები და დოგმატიკოსები, როგორც ხაშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხებში ირჩენენ მედავითნურ უსიცოცხლო მიდგომას მარქსიზმ-ლენინიზმისადმი. მათ ვერ შეუგნიათ, თუ რას ნიშნავს თანამედროვე პირობებში შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმი.

ამავე დროს ყოველი მარქსისტულად მოაზროვნე საბჭოთა ადამიანისათვის ცხადია, რომ თანამედროვე პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის განხორციელება, კომუნიზმისათვის ბრძოლა ნიშნავს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა თანმიმდევრულად განხორციელებას, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის, სოციალისტური ბანაკის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის ბრძოლის პოლიტიკის განხორციელებას. მარქსისტ-ლენინელი იყო არა სიტყვით, არამედ საქმით — თანამედროვე პირობებში ნიშნავს მტკიცედ გაუჯობესო მრეწველობის ხელმძღვანელობა, ხალხის მასების ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის.

წაეწყდნენ რა ცენტრალური კომიტეტის მტკიცე წინააღმდეგობას, რომელიც კომუნისტური მშენებლობის ინტერესების სადარაჯოზე დგას, ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი დაადგნენ ფრაქციული ბრძოლის გზას, პარტიის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრის გზას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების დარღვევის გზას. პირი შეკრეს რა ანტიპარტიულ საფუძველზე, მათ მიზნად დაისახეს შეეცვალათ პარტიის პოლიტიკა, დაებრუნებინათ პარტია ხელმძღვანელობის იმ არასწორი მეთოდებისაკენ, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ დაგმო. მათ მიმართეს ინტრიგანულ ხერხებს და ფარულად შეკრეს პირი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. ლენინური პრინციპების ერთგულმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის ერთიანობის შესახებ X პარტიული ყრილობის რეზოლუციის მიხედვით, რომელიც ლენინის მიერ იყო შემუშავებული, გაანადგურა ანტიპარტიული ჯგუფი.

ყველა კომუნისტი, მილიონობით საბჭოთა ადამიანი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას, რომ ანტიპარტიული ჯგუფის საკითხის გადაწყვეტისას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ცხადყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრისა და წევრობის კანდიდატის, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრების მონოლითური ერთიანობა და დარაზმულობა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემადგენლობაში არ ყოფილა არც ერთი კაცი, რომელსაც მხარი დაეჭიროს ანტიპარტიული ჯგუფისათვის.

თავის დადგენილებაში ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა ყველა კომუნისტს კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ თავიანთი რიგები მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშის ქვეშ, მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. ამ მოწოდების პასუხად მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის განადგურება ხელს შეუწყობს ლენინური პარტიის რიგების ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, მისი ხელმძღვანელობის განმტკიცებას და პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის საქმეს. პარტია და საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმებიან პლენუმის მიერ არჩეულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ახალი ძალები, რომლებიც წარმოადგენენ მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებს და მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებს.

ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომელიც შექმნა და ბრძოლებში გამოაწრთო დიდმა ლენინმა და რომელსაც მაღლა უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა, ახლა უფრო ერთიანი და შემჭიდროებულია, ვიდრე ოდესმე. პარტიის ლენინური ერთიანობა ურყევია! პარტიისადმი სიყვარულითა და ნდობით გამსჭვალულია მთელი საბჭოთა ხალხი, რომელსაც იგი მიაჩნია თავის ნაცად და ბრძენ ბელადად და მასწავლებლად.

პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

„პრავდის“ 5-VII მოწინავე.

ᲧᲐᲑᲐᲠᲓᲝ-ᲑᲐᲚᲧᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲧᲐᲑᲐᲠᲓᲝ-ᲑᲐᲚᲧᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲐᲑᲐᲠᲓᲝ-ᲑᲐᲚᲧᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲡ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას, ყველა მშრომელს დიდ ეროვნულ დღესასწაულს — რუსეთთან ყაბარდოს ნებაყოფლობით შეერთების 400 წლისთავს.

რუსეთის სახელმწიფოსთან ყაბარდოს შეერთებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ყაბარდოელი, ბალყარელი და სხვა ხალხების ისტორიული ბედისათვის. რუსეთთან შეერთებამ უზრუნველყო ამ ხალხებისათვის შემდგომი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა, იხსნა ისინი უცხოელ დამპყრობთა მხრივ დამონებისა და გაქცეტისაგან, შექმნა რუს ხალხთან და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ხელსაყრელი პირობები.

რუსი ხალხისა და ყაბარდოელი ხალხის ერთობლივმა ბრძოლამ უცხოელ დამპყრობთა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ადგილობრივი ფეოდალებისა და რუსი მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ დააახლოვა ეს ხალხები და გამოიწვია მათ შორის ძმური ურთიერთობის დამყარება. ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის მუშათა კლასმა, რომელმაც მაღლა აწია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა. რუსეთის პროლეტარიატის სახით რუსეთის ყველა ეროვნების მშრომელებმა საიმედო მოკავშირე და ხელმძღვანელი ჰპოვეს თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ყაბარდო-ბალყარეთის ხალხების, ისევე როგორც მეფის რუსეთის სხვა ჩაგრული ხალხების ბედ-იღბალში ძირეული ცვლილებანი მოხდა. ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, რომელსაც თანმიმდევრულად ახორციელებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, გამოიყვანა ეს ხალხები პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების ფართო გზაზე, საშუალება მისცა მათ თავისუფლად და ბედნიერად აშენონ თავიანთი ცხოვრება. საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე ყაბარდო-ბალყარეთის მშრომელებმა დიდი რუსი ხალხისა და სხვა მძმე ხალხთა დახმარებით დიდი წარმატებანი მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. რესპუბლიკაში ახლად შეიქმნა მრეწველობა, აშენდა ათობით დიდი საწარმო, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში უდიდესი ბაქსანის ჰესი, ტირნი-აუზის ვოლფრამ-მოლიბდენის კომბინატი, მანქანათმშენებელი, ხელსაწყოთმშენებელი, მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის საწარმოები.

რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. უკანასკნელ წლებში სოფლის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებაში, მეცხოველეობისა და მებაღეობის განვითარებაში.

უდიდესი ცვლილებანი მოხდა რესპუბლიკის კულტურულ სახეში. ყაბარდოელები და ბალყარელები, რომლებსაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საკუთარი დამწერლობა არა ჰქონიათ, ახლა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ხალხები გახდნენ. რესპუბლიკაში არის შვიდი ტექნიკუმი, ასობით სკოლა, კლუბი და ბიბლიოთეკა, იქმნება სახელმწიფო უნივერსიტეტი, მომზადებულია ეროვნული ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები, წარმატებით ვითარდება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურა და ხელოვნება, მუშაობს დრამატული თეატრი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, სახელმწიფო ფილარმონია.

პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მამაკაცებთან ერთად შრომობენ მთიელი ქალები, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამდე უუფლებო მონები იყვნენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ძირეულად შეცვალა მათი ყოფაცხოვრება, კულტურა და მდგომარეობა საზოგადოებაში, აქტიურ შემოქმედებითს საქმიანობაში ჩაება ისინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს უსურვებენ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში და ეჭვი არ ეპარებათ, რომ ყაბარდო-ბალყარეთის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავენ ახალი მიღწევებით იმ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა.

რუსეთთან ყაბარდოს ნებაყოფლობითი შეერთების 400 წლისთავის დღესასწაული ცხადყოფს ყაბარდოელი, ბალყარელი, რუსი ხალხებისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების მეგობრობას, მათს ერთიანობას და დარაზმულობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო.

გაუმარჯოს და აყვავდეს ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა!

გაუმარჯოს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დარაზმულობის საწინდარს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრ ბურჯს!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მუშა და სოფლის კორესპონდენტების სრულიად რუსეთის თათბირი

მოსკოვში 1-დან 4 ივლისამდე მიმდინარეობდა მუშა და სოფლის კორესპონდენტების სრულიად რუსეთის თათბირი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს მოიწვია.

მუშა და სოფლის კორესპონდენტების ამოცანების შესახებ გაზეთ „სოვეტსკაია როსიის“ მთავარი რედაქტორის პ. პ. ეროფეევის მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 47 კაცმა. შემოქმედებით საკითხებზე აზრთა გაცხოველებული გაზიარება გაჩაღდა პარტიული ცხოვრებისა და პრობაგანდის, სამრეწველო-სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, საბჭოთა მშენებლობისა და კულტურის, მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების სექციებში. აქ გამოვიდა 74 კაცი.

დიდი აღმავლობით ჩაიარა საბოლოო სხდომამ. ჩრდილოეთის რკინიგზის მემანქანის თანაშემწემ ამხ. აბრამოვმა და გრეჩანო-ბალკოვსკის მტს-ის (ცრასნოდარის მხარე) პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ბოგუტომ თათბირის მონაწილეთა სახელით მხურვალედ მიიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ, დადგენილება, რომლის მიზანია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთიანობის შემდგომი განმტკიცება, კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვება.

სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ა. ბ. არისტოვმა და პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა პ. ნ. პოსპელოვმა, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

თათბირის მონაწილეებმა მიმართეს ყველა მუშა და სოფლის კორესპონდენტს მოწოდებით აქტიურად ითანამშრომლონ პრესაში, იყვნენ დაუღალავი მებრძოლები კომუნიზმის დიდი საქმისათვის. (საკდესი).

საქართველოს მშრომელები დიდი მოწონებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის 1957 წლის 4 ივლისის დადგენილებას

დუშელი კოლმეურნეების სიხარული

დუშეთი. (საკ. კორ.). დუშეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. პაპაშვილმა მინდვრად მყოფ კოლმეურნეებს მოუთხრო პარტიისა და მთავრობის 1957 წლის 4 ივლისის დადგენილებაზე, რომელიც მან რადიოთი მოისმინა.

— ეს დადგენილება, — ამბობს იგი, — ერთხელ კიდევ ნათლად დასტურებს იმ დიდ მზრუნველობას, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხალხის კეთილდღეობისათვის იჩენენ. თვითეული ჩვენგანი ამ მზრუნველობას ახალი შრომითი მამაცობით უპასუხებთ.

მოწინავე კოლმეურნემ ქეთევან სინჯარაძემ, სიხარულით განაცხადა: გულითადი მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ამ დიდი სიკეთისათვის. პირობას ვიძლევი, რომ გაორკეცებული ენერგიით ვიშრომებ ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

მადლობა ჩვენს ბრძენ პარტიას

მცხეთა. (სპეც. კორ.). საკოლმეურნეო სოფელში თავდადებული შრომაა გაჩაღებული. მექანიზატორები და კოლმეურნეები მკიან პურეულს, თოხნიან სიმინდის ნათესებს. ისინი არ იშურებენ ენერგიას იმისათვის, რომ სახალხო მაჩვენებლებით დაამთავრონ მეექვსე ხუთწლედის მეორე წელი, ამრავლონ საკოლმეურნეო ხვავი და ბარაქა.

სოფელ ჩარდახის კოლმეურნეობის მინდვრებში გარიჟრაჟიდან გვიან საღამომდე არ წყდება მუშაობა, იღებენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალს. პირველ სამ დღეს კომბაინერმა გ. ბულაცაშვილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით უკვე მომკა 54 ჰექტარი პურეული და ჰექტარზე საშუალოდ გალეწა 25 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 13 ცენტნერისა.

კალოებზე იწმინდება მარცვალი. პირველ დღეს კოლმეურნეობამ 10 ტონაზე მეტი ქერი ჩააბარა სახელმწიფოს. საკოლმეურნეო სიუხვით აღფრთოვანებული არიან კოლმეურნეები.

მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა შესვენების დროს გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გაუქმების შესახებ.

— ახლა ყველა ხედავს, — ამბობს სახელდახელოდ შეკრებილ მიტინგზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. ასლანიშვილი, — თუ რა ეშმარიტად დიდი ცვლილებები მოხდა უკანასკნელ წლებში ჩვენს სოფლის მეურნეობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ჩვენ გავეცანით პარტიისა და მთავრობის დადგენილებას. ეს საგრძნობლად გაუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის, კოლმეურნე გლეხობის, მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალურ კეთილდღეობას. ხალხისადმი პარტიისა და მთავრობის ამ უდიდესი ზრუნვის პასუხად კოლმეურნეთა სახელით პირობას ვიძლევი 12 სამუშაო დღეში მთლიანად დავამთავროთ პურეულის მოსავლის უდანაკარგოდ აღება.

მემანდვრეობის ბრიგადირმა ი. ბიტარაშვილმა განაცხადა: პარტიისა და მთავრობის დადგენილებას ახალი შრომითი მამაცობით ვუპასუხებთ. ჩვენ, კოლმეურნეები, გულითად მადლობას ვუძღვნით მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას სოფლის მეურნეობის მშრომელების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის დაუღალავი ზრუნვის გამო.

ჩვენ გულისწყრომით ვგმობთ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციულ საქმიანობას. უფრო მეტი ენერგიით ვიმუშავებთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე კოლმეურნეებმა გ. თვაურმა, ე. დონღუზაშვილმა, ნ. კორაშვილმა, მცხეთის მტს-ის დირექტორმა ა. კაკაბავამ, მთავარმა აგრონომმა ა. ბარისაშვილმა და სხვებმა. მათ პირობა დადეს უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ მეტი ხორცი, რძე, ამრავლონ საკოლმეურნეო დოვლათი.

* * *

სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. ასლანიშვილი კოლმეურნეებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 4 ივლისის დადგენილებას.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, ყველა მშრომელი მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს

* * *

ლენინური ერთიანობის ნიშნით

აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

გაიმართა აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება „გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ".

აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

— თავის 1957 წლის 22-29 ივნისის სხდომებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, — ამბობს ამხ. მჟავანაძე, — განიხილა საკითხი მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ. რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შიგნით.

მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის ავანტიურისტული, გამთიშველური მოქმედება. ამ ჯგუფის მონაწილეებმა ინტრიგანულ ხერხებს მიმართეს და ფარულად შეკრეს პირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, ცდილობდნენ ამ გზით შეეცვალათ პარტიის პოლიტიკა, დაებრუნებინათ პარტია ხელმძღვანელობის იმ არასწორი მეთოდებისაკენ, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაგმო, სურდათ გათიშვა შეეტანათ პარტიის რიგებში, შეეცვალათ პარტიის გენერალური ხაზი.

მაგრამ, წმიდად ასრულებს რა ლენინურ კანონს ჩვენი პარტიის ერთიანობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაჭრით დაგმო და მთლიანად ამხილა ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ პარტიული აქტივის კრების მონაწილეებს გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ. კრებაზე დამსწრეებმა მხურვალედ მოიწონეს პლენუმის დადგენილება.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო გაიმართა კამათი. ყველა გამოსულმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, რომელიც პარტიის რიგების ჭონოლითურობის, მისი დარაზმულობის მკაფიო დადასტურებაა.

აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ო. გოცირიძემ თავის გამოსვლაში განაცხადა:

— პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი აღშფოთებით გმობს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის გამთიშველურ საქმიანობას, ჯგუფისა, რომელიც იქამდეც კი მივიდა, რომ უარყოფდა ჩვენი სახალხო მეურნეობის დიდ წარმატებებს. პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა. განხორციელებისათვის ბრძოლის ნაცვლად ისინი ინტრიგანული მეთოდებით ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ პარტიის ერთიანობისათვის, ხელს უშლიდნენ პარტიის ორგანიზატორულ მუშაობას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. აფხაზეთის კომუნისტები და ყველა მშრომელი მთლიანად იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და მთელ თავიანთ ძალებს დარაზმავენ სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საბრძოლველად.

— სასტიკად ჩაიფუშა ანტიპარტიული ჯგუფის გამთიშველური საქმიანობა, — განაცხადა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ბღაჟბამ. — პარტიის XX ყრილობის შემდეგ დიდმნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ამ მიღწევების დანახვა არ სურდათ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებს. ისინი ცდილობდნენ შეეცვალათ პარტიის XX ყრილობის მიერ აღებული ლენინური კურსი. მაგრამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მთლიანად ამხილა და დაგმო ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა.

— ტყვარჩელის ყველა მეშახტე, პარტიული და უპარტიო, — განაცხადა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მეორე შახტის გამყვანმა ამხ. ი. სტრელჩენკომ, — ერთსულოვნად იწონებს და მიესალმება ივნისის პლენუმის დადგენილებას, რომელმაც ამხილა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა. ჩვენ, მეშახტეები, კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმეთ ბით მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ვადამდე შევასრულოთ ქვანახშირის ამოღების 1957 წლის გეგმა.

ტრიბუნაზეა სკკპ წევრი 1905 წლიდან, გუდაუთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი ამხ. ვ. კონჯარია. იგი ამბობს:

— იმ დროს, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი მძლავრი შრომითი აღმავლობით ემზადება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის, მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფი ცდილობდა ძირი გამოეთხარა ჩვენი პარტიის ერთიანობისათვის, შეეფერხებინა ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება. ისინი უარყოფდნენ იმ უდიდეს მიღწევებს, რომლებიც ჩვენმა ხალხმა პარტიის XX ყრილობის შემდეგ მოიპოვა. მაგრამ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი ანგარიშში მოტყუვდნენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ბოლომდე ამხილა და სასტიკად დაგმო ამ ჯგუფის ანტიპარტიული საქმიანობა. ჩვენი, კომუნისტების, მოვალეობაა თვალისჩინივით დავიცვათ პარტიის რიგების ლენინური ერთიანობა.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ავრეთვე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ა. ბონდარევი, პარტიის გალის და სოხუმის რაიკომის მდივნები ამხ. დ. გოგოხია, გ. ჭაჟია და სხვები.

პარტიული აქტივის კრებამ მხურვალედ მოიწონა ივნისის პლენუმის დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობიდან და ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან ამხ. მალენკოვის, კაგანოვიჩის და მოლოტოვის გამოყვანის და ამხ. შეპილოვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტიდან მოხსნისა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან და ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ.

აფხაზეთის კომუნისტები, ნათქვამია პარტიული აქტივის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, პირობას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ შემდგომ განამტკიცებენ პარტიის რიგების ერთიანობას, უფრო ენერგიულად იბრძოლებენ სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილი მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კრება თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში. ტრიბუნაზეა მოწინავე ზეინკალი შ. ფირცხალავა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

პარტია და ხალხი განუყოფელია

გუშინ სამუშაო დღის დამთავრებისთანავე თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კლუბში ასობით მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი შეიკრიბა. გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაზე მოხსენება გააკეთა ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. კიზივაძემ.

— ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის უღრმეს აღშფოთებას და გულისწყრომას იწვევს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა, — ამბობს მომხსენებელი. — ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეებს სურდათ შეეცვალათ პარტიის პოლიტიკა. მაგრამ პარტია, საბჭოთა ხალხი არავის არ მისცემენ ამის უფლებას. პარტიის პოლიტიკა — ეს მთელი საბჭოთა ხალხის სისხლხორცეული საქმეა.

უკანასკნელ ხანებში პარტიამ დიდი ღონისძიებები განახორციელა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის, ლენინური სამშვიდობო პოლიტიკის გატარებისათვის.

დიდი ღონისძიებანი ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. უკანასკნელ წლებში დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენს საწარმოში. იგი აღიჭურვა ახალი, მოწინავე ტექნიკით. წელს ქარხანას შემატა რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი. მარტო წელს ორასამდე ახალი მანქანა-დანადგარი მივიღეთ, რამაც შესამჩნევად აამაღლა შრომის ნაყოფიერება, ფართო გასაქანი მისცა მუშათა შემოქმედებითს აზრს—რაციონალიზაციასა და გამომგონებლობას. ყოველივე ამის შედეგად ნნიშვნელოვნად გაიზარდა მუშათა გამომუშავება. აშენდა მრავალბინიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, რომლებშიც ჩვენი საწარმოს მრავალი მუშაა შესახლებული. დასახულია ისეთი ტემპით წავიდეს საბინაო მშენებლობა, რომ უახლოეს ხანში ყველა მუშას ექნეს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა.

ახლა, — განაგრძობს მომხსენებელი, — როდესაც ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დაგვისახა ამოცანა უახლოეს 2-3 წელიწადში დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ, მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიულმა ჯგუფმა ეჭვს ქვეშ დააყენა პარტიის მიერ აღებული გზა, ცდილობდა შეეცვალა პარტიის პოლიტიკა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დროულად ამხილა ამ ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ საბჭოთა ხალხი აეცდინა პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული გზიდან.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობის ერთსულოვანი დაგმობა ხელს შეუწყობს ჩვენი ლენინური პარტიის რიგების ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, კიდევ უფრო გააძლიერებს მასების შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

ტრიბუნაზეა მე-9 მექანიკური საამქროს მლარავი გ. ვართანოვი. იგი ამბობს:

— ჩვენ ყველანი მოწმე ვართ იმისა, თუ რა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებს მშობლიური კომუნისტური პარტია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სწორედ ამიტომ ჩვენ ღრმა გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოვთქვამთ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული მოქმედების გამო, ჯგუფისა, რომელმაც გაიღაშქრა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც განუხრელად იცავს პარტიის ლენინურ ერთიანობას, დროულად გამოამჟღავნა და გააუვნებლა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის ავანტიურისტული საქმიანობა. მე სავსებით ვიწონებ და მხურვალედ მივესალმები პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ღონისძიებას და პირობას ვდებ გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაო იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით შევხვდე დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. ნაზარიშვილი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა დიდი წვლილი შეაქვთ კომკავშირელებს და ახალგაზრდებს მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. ჩვენი საწარმოს კომკავშირელები და ახალგაზრდები, — ამბობს იგი, — აღშფოთებული არიან ანტიპარტიული ჯგუფის გამთიშველი საქმიანობით და მთლიანად იწონებენ და უჭერენ მხარს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას.

მე-16 მექანიკური საამქროს ხარატი ამხ. ს. გურსკი აღშფოთებით ლაპარაკობს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობაზე, რომელსაც სურდა შეეფერხებინა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი. პირობას ვდებ, — აცხადებს იგი, — რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის 240 პროცენტით შევასრულებ წლიურ გეგმას და ამით გამოვხატავ ჩემს უღრმეს მადლობას კომუნისტური პარტიისადმი, რომლისთვისაც ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა უმაღლეს კანონს წარმოადგენს.

კიროვის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრებამ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მხურვალედ მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება და გამოთქვა ერთსულოვანი მზადყოფნა კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმოს მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

პარტიის რიგების ერთიანობისათვის

4 ივლისს შედგა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა.

მომხსენებელმა აქტივის კრების მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები, პლენუმისა, რომელმაც დროულად გამოავლინა და მთლიანად ამხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში შექმნილი ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა.

ამხ. ჯავახიშვილი ლაპარაკობს იმ უდიდეს მიღწევებზე, რომლებიც მოპოვებულია პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი აღმაღლობის დარგში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სწორი ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საქმეში. მომხსენებელს მოჰყავს ფაქტები იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდნენ ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი მალენკოვი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი და მათთან მიმხრობილი შეპილოვი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინურ ხაზს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად დაგმო ანტიპარტიული ჯგუფის ავანტიურისტული საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო პარტიის გათიშვისაკენ, მისი პოლიტიკის შეცვლისაკენ.

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა შეკრებილთ გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება, რომელიც აქტივის კრების ყველა მონაწილემ მხურვალედ მოიწონა და სასტიკად დაგმო მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპალოვის გამთიშველური მოქმედება, რაც შეუთავსებელია პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებთან.

აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოსულმა ფანერის ქარხნის მოწინავე მუშამ ამხ. ნ. ხონელიძემ თქვა:

— უდიდესი გამარჯვებებით ხვდება საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის დღესასწაულს. მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყველა ღონისძიებას, რომლებიც მიმართულია ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისაკენ. ივნისის პლენუმის დადგენილება გვავალებს გადაჭრით ვებრძოლოთ ყოველგვარ გადახრებს ჩვენი პარტიის ლენინური გენერალური ხაზიდან, ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ იდეოლოგიური მუშაობა, ავამაღლოთ პოლიტიკური სიფხიზლე.

ქობულეთის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ბაკუნაიშვილმა აღშფოთებით ილაპარაკა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის ავანტიურისტულ მოქმედებაზე.

— სოფლის კომუნისტები და მათთან ერთად საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელი, — თქვა მან, — ერთსულოვნად იწონებენ ღონისძიებებს, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობის აღსაკვეთად. სოფლის მეურნეობის საკითხებში ამ ჯგუფის მონაწილეებმა გამომჟღავნეს, რომ მათ არ ესმით ახალი მომწიფებული ამოცანები. ისინი ეწეოდნენ სრულიად გაუმართლებელ ბრძოლას პარტიის იმ მოწოდების წინააღმდეგ, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე რძის, კარაქისა და ხორცის წარმოების მხრივ. სოციალისტური სოფლის მშრომელები არავის არ მისცემენ უფლებას ხელი შეუშალოს მათ ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად პარტიის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელებაში.

კამათში სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. დ. მამულაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ აჭარის კომუნისტები, ყველა მშრომელი მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ, გამოთქვამენ თავიანთ ერთსულოვან მზადყოფნას მთელი ძალები მოახმარონ პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აქტივის კრება ერთსულოვნად გმობს და აღშფოთებით უარყოფს მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიულ საქმიანობას. პარტიული აქტივის კრება უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე ამხილა და მტკიცე ხელით აღკვეთა ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული მოქმედება. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ცხადყოფს ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინურ სიმწიფეს, სიბრძნესა და პრინციპულობას.

მხურვალედ მოიწონა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება, პარტიული აქტივის კრებამ პირობა მისცა ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ აჭარის პარტიული ორგანიზაციები თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან და განამტკიცებენ პარტიის რიგების ურღვევ ერთიანობას, უზრუნველყოფენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებას. აჭარის კომუნისტები ყველა მშრომელთან ერთად სიტყვას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მთელ თავიანთ ძალღონესა და ცოდნას მოახმარენ პარტიის გენერალური ხაზისათვის, სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლას.

მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტიული ორგანიზაციის კრებამ განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხ. ვ. დ. კუპრაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა ე. ჭარელიშვილმა, გ. ბუხნიკაშვილმა, ა. ლომაძემ, ვ. მაჭავარიანმა, ს. აბულაძემ, ს. წვერავამ, დ. შენგელაიამ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხისა და ჩვენი ქვეყნის ბედისათვის. დაადგა რა ფრაქციული ბრძოლის გზას, მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიულმა ჯგუფმა არსებითად ფარულად შეკრა პირი ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. ცხადია, ამ ანტიპარტიული ჯგუფის ფრაქციული საქმიანობის მხილება და ერთსულოვანი დაგმობა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი პარტიის რიგებს და მის ხელმძღვანელობას.

ჩვენს პარტიას არასოდეს არ ჰქონია სხვა საზრუნავი, გარდა ხალხის კეთილდღეობის და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისა. ამიტომ საბჭოთა ხალხი გმობს ანტიპარტიულ ჯგუფს, რომელიც ცდილობდა აეცდინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ლენინური გზიდან. პლენუმმა ამხილა, რომ ანტიპარტიული ჯგუფის წევრებს არ ესმოდათ ახალი მომწიფებული ამოცანები, ისინი არ სცნობდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაფართოებისათვის კოლმეურნე გლეხობის მატერიალური დაინტერესების გაძლიერების საჭიროებას, მოსწყდნენ მასებს, პარტიისა და მთელი ხალხის ცხოვრებას, ხელს უშლიდნენ ჩვენი ქვეყნის კულტურის შემდგომ განვითარებას.

პარტიულმა კრებამ მოიწონა პლენუმის გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობიდან და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან მალენკოვის, კაგანოვიჩის და მოლოტოვის გამოყვანისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტიდან შეპილოვის მოხსნისა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან მისი გამოყვანის შესახებ.

კრებამ პირობა მისცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით მიაღწევს ახალ წარმატებებს შემოქმედებითი მუშაობის ნათელ გზაზე.

მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე

კ. ცეტკინის დაბადების 100 წლისთავის გამო

მშვიდობისა და პროლეტარული სოლიდარობის იდეებისათვის დიდი მებრძოლი კ. ცეტკინი დაიბადა 1857 წლის 5 ივლისს საქსონიის ერთ-ერთ სოფელ ვიდერაუში, მასწავლებლის ოჯახში. 17-დან 21 წლამდე სწავლობდა ლაიპციგის კერძო სასწავლებელში. კ. ცეტკინი აქ შეხვდა რევოლუციურად განწყობილ რუს სტუდენტთა ჯგუფს და გაეცნო მათს პოლიტიკურ შეხედულებებს. მათ შორის იყო რუსი რევოლუციონერი ოსიპ ცეტკინიც, რომელსაც კლარა შემდეგში ცოლად გაჰყვა.

პარიზის კომუნის სახელოვანმა დღეებმა, როცა საფრანგეთის მუშათა კლასმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად სცადა ძალაუფლების ხელში აღება და თავისი ბატონობის დამყარება, მსოფლიოს ყველა გაბატონებულ კლასში დიდი უკმაყოფილება და შიში გამოიწვია. გერმანიის რაიხსკანცლერმა ბისმარკმა სცადა მუშათა მოძრაობის ჩახშობა „სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონის“ შემოღებით, რომელიც 1878-1890 წლებში მოქმედებდა. მუშათა ორგანიზაციები დაშლილ იქნენ, მათი გაზეთები აიკრძალა, პროლეტარიატის ბელადები საპყრობილეებში დაამწყვდიეს, ქვეყნიდან განდევნეს. მაგრამ რეპრესიულ ღონისძიებათა მიუხედავად სოციალისტური მოძრაობა თანდათანობით იზრდებოდა და პროლეტარული მასების სულ უფრო და უფრო ფართო წრეს აერთიანებდა.

გერმანიის მუშათა მოძრაობის მძიმე პერიოდში კლარა ცეტკინი მათთან იყო, ვისაც გერმანიის რეაქციული ბურჟუაზია სდევნიდა და ავიწროებდა. 1881 წელს იგი შედის გერმანიის არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და მისი აქტიური წევრი ხდება.

კ. ცეტკინი იძულებული იყო გერმანიიდან ემიგრაციაში წასულიყო, იგი ცხოვრობდა საფრანგეთში, ავსტრიაში, იტალიაში, სადაც მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში.

1882 წლის ზაფხულში კ. ცეტკინი ციურიხში (შვეიცარია) გადავიდა საცხოვრებლად. იგი თანამშრომლობს გერმანელ სოციალისტთა იმ ჯგუფში, რომელსაც ეგალებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური ორგანოს „სოციალ-დემოკრატის“ გაგზავნა გერმანიაში. ეს გაზეთი დიდ როლს ასრულებდა გერმანიის არალეგალური მუშათა მოძრაობის სოციალისტურ განვითარებაში.

ციურიხიდან კ. ცეტკინი გადადის პარიზში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. აქ უახლოვდება საფრანგეთის სოციალისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს.

1880-1890 წლებში მთელ მსოფლიოში მუშათა მოძრაობის სწრაფმა ზრდამ და სოციალისტური მუშათა პარტიების განვითარებამ შექმნა პირობები სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტური მოძრაობის გაერთიანებისათვის. 1889 წელს პარიზში მოწვეულ იქნა სხვადასხვა სახელმწიფოთა სოციალისტური ორგანიზაციების კონგრესი; ამ კონგრესზე შეიქმნა მეორე ინტერნაციონალი. კ. ცეტკინი დიდ მონაწილეობას იღებდა კონგრესის მომზადებასა და მუშაობაში, იგი გამოვიდა სიტყვით პროლეტარულ რევოლუციურ მოძრაობაში ქალის როლისა და მნიშვნელობის შესახებ და დასახა ქალთა პროლეტარული მოძრაობის საბრძოლო პროგრამა.

კ. ცეტკინი მონაწილეობას იღებდა მეორე ინტერნაციონალის ყველა კონგრესში. პრინციპულ საკითხებში იგი ყოველთვის მარქსიზმის პოზიციებზე იდგა.

კ. ცეტკინის დაბადების 100 წლისთავის გამო

1890 წელს სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონის გაუქმების შემდეგ კ. ცეტკინი გერმანიაში ბრუნდება. 1892 წლიდან რედაქტორობს გერმანელი მუშა ქალების გაზეთს „გლაიხჰეიტს“ („თანასწორობა“), რომელიც მის ხელში გადაიქცა ქალთა საერთაშორისო მოძრაობისათვის მებრძოლ და რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების დამცველ ორგანოდ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის შიგნით ოპორტუნისტულ ელემენტებთან ბრძოლაში კ. ცეტკინი ყოველთვის ილაშქრებდა მარქსენგელსის მოძღვრების რევიზიის ცდების წინააღმდეგ. ვ. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა კ. ცეტკინის დამსახურებას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

რუსეთის 1905-1907 წლების პირველმა რევოლუციამ კ. ცეტკინის განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია.

1907 წელს კ. ცეტკინის ინიციატივით მოწვეულ იქნა ქალთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია. მისივე წინადადებით დაწესდა 8 მარტი, როგორც ქალთა საერთაშორისო დღესასწაული.

1915 წელს ბერნში (შვეიცარია) ცეტკინმა მოაწყო ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ამისათვის კაიზერის მთავრობამ იგი დააპატიმრა. განთავისუფლების შემდეგ კ. ცეტკინი კვლავ უბრუნდება არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას.



როდესაც 1917 წლის 7 ნოემბერს ლენინის ცნობილმა მოწოდებამ „ყველას, ყველას, ყველას!“... მსოფლიოს მშრომელებს ცნო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, კ. ცეტკინი ალტაცებით მიესალმა მას. იგი ყოველთვის იცავდა სსრ კავშირში სოციალისტური რევოლუციის დიად საქმეს.

გერმანიის კომპარტიის შექმნის შემდეგ 1919 წელს კ. ცეტკინი ხდება მისი წევრი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ამ პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1920 წელს კ. ცეტკინი ჩამოვიდა სსრ კავშირში და მონაწილეობა მიიღო კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესში. 1921 წლიდან იგი კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტისა და პრეზიდიუმის წევრი იყო.

1932 წლის აგვისტოში მძიმე ავადმყოფი კ. ცეტკინი, რომელიც იმ დროს მოსკოვში ცხოვრობდა, ბერლინში ჩავიდა, რათა, როგორც რაიხსტაგის უხუცეს დეპუტატს გაეხსნა ახლად არჩეული რაიხსტაგის სხდომა. აქ იგი გამოვიდა მგზნებარე სიტყვით ფაშისტური საშიშროების წინააღმდეგ, ერთიანი პროლეტარული ანტიფაშისტური ფრონტის შესაქმნელად.

მოსკოვის ახლოს, დაბა არხანგელსკში გატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები გერმანიის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ კ. ცეტკინმა. ავადმყოფობის მიუხედავად, კ. ცეტკინი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ემსახურებოდა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. იგი გარდაიცვალა 1933 წლის 20 ივნისს.

სსრ კავშირის ხალხები გერმანიისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად არასოდეს არ დავიწყებენ კომუნიზმისათვის დაუღალავ მებრძოლს კ. ცეტკინს.

მ. ლეკვეიშვილი.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

ყოველი წლის ივლისის პირველ შაბათს ყველა ქვეყნის კოოპერაციული ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსში (კავშირში) შედიან, აღნიშნავენ კოოპერაციის საერთაშორისო დღეს. წელს ეს დღე ოცდამეთხუთმეტჯერ აღინიშნება.

საბჭოთა ხალხი კოოპერაციის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX კრების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის გაძლიერების ვითარებაში, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და მრეწველობის შემდგომი გაფართოებისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი ამაღლებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის აქტიური ბრძოლით.

თანამედროვე ტიპის პირველი კოოპერატივები აღმოცენდნენ იმ დროს, როდესაც კაპიტალიზმის განვითარებამ მთელ რიგ ქვეყნებში საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. ეს იყო ას წელზე მეტი ხნის წინათ. იმდროინდელი კოოპერატივების დამაარსებლები უმთავრესად მუშები იყვნენ. მომხმარებელთა პირველი საზოგადოება დააარსა ინგლისში 1844 წელს ქალაქ როჩდელის 28 ფეიქარმა მუშამ, რომლებმაც მომხმარებელთა ამ საზოგადოებას „სამართლიან პიონერთა საზოგადოება“ უწოდეს.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე კოოპერაციულმა მოძრაობამ მოიცვა ევროპის, აზიისა და ამერიკის მრავალი ქვეყანა.

თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, სადაც საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებას კაპიტალისტური მონოპოლიები განსაზღვრავენ, კოოპერაციული ორგანიზაციების როლი მეტად შეზღუდულია. თვით კოოპერაცია ასეთ სახელმწიფოებში თავისი სოციალური ბუნებით კაპიტალისტური საწარმოებისაგან არ განსხვავდება.

განსაკუთრებული პირობები შეიქმნა კოოპერაციის განვითარებისათვის ინდოეთში, ინდონეზიაში, ეგვიპტეში და სხვა ყოფილ დამოკიდებულ ქვეყნებში, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან და დაადგნენ დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზას. თუ ინდოეთში 1945 წელს ითვლებოდა 149.890 კოოპერაციული საზოგადოება, რომელშიც გაერთიანებული იყო 7.218 ათასი წევრი, ხოლო საბრუნავი თანხა უდრიდა 1.243 მილიონ რუპიას, 1954 წელს იქ უკვე იყო 200 ათასამდე საზოგადოება 15 მილიონზე მეტი წევრით, ხოლო თანხა აღწევდა 3.520 მილიონ რუპიას.

იზრდება კოოპერაციული მოძრაობა არაბულ ქვეყნებშიც.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში შექმნილია ყველა პირობა კოოპერაციული მოძრაობის მძლავრი განვითარებისათვის. კოოპერირებული მოსახლეობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა ამ ქვეყნების ეკონომიკაში. აღბანეთში მთელი სამომხმარებლო კოოპერაციაზე მოდის. ჩეხოსლოვაკიის მომხმარებელთა კოოპერაციული ორგანიზაციები, რომლებსაც 28 ათასი მაღაზია და დუქანი აქვთ, ფართო მოხმარების საქონლით ამარაგებენ რესპუბლიკის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს.

დიდად განვითარდა კოოპერაციული მოძრაობა ჩინეთში. 1956 წლისათვის სრულიად ჩინეთის სამომხმარებლო-გამსაღებელი კოოპერატივების კავშირი აერთიანებდა 27 ათას ძირითად კოოპერაციულ ორგანიზაციას, რომლებშიც შეკავშირებული იყო 162 მილიონზე მეტი წევრი. ამ კოოპერაციული ორგანიზაციების საქონელბრუნვა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 15,4-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა — 12,1-ჯერ.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე პოლონეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა.

განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა აქვს კოოპერაციულ მოძრაობას ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში — საბჭოთა კავშირში. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა: „....ციველიზებულ კოოპერატორთა წყობილება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში, ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის კლასობრივი გამარჯვების პირობებში — ეს არის სოციალიზმის წყობილება“ (თხზ., ტ. 33, გვ. 556). მართლაც სამომხმარებლო კოოპერაციამ ჩვენში დიდი როლი შეასრულა საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნაში, საქონელბრუნვიდან კერძო კაპიტალის განდევნაში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებაში.

განვლილ 1956 წელს საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში საცალო ვაჭრობის ქსელი გაფართოებულ იქნა 4.006 ერთეულით და 1957 წლის დასაწყისისათვის აერთიანებდა 269.305 სავაჭრო ერთეულს. იმავე წელს საცალო საქონელბრუნვა წინა 1955 წელთან შედარებით გაიზარდა 11,7 პროცენტით და შეადგინა 161,7 მილიარდი მანეთი.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციაში გაერთიანებულია 600 ათასამდე მეპაიე. კოოპერაციას აქვს ფართოდ გაშლილი სავაჭრო და საწარმოო ქსელი, წარმოადგენს რესპუბლიკაში სოფლის მოსახლეობისა და კოლმეურნეობების საგაჭრო მომსახურების ძირითად სისტემას.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ 1956 წელს სოფლის მოსახლეობას მიჰყიდა ორ მილიარდ 682 მილიონი მანეთის საქონელი, ანუ 265 მილიონი მანეთის საქონლით მეტი, ვიდრე 1955 წელს. სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვა 1956 წელს რესპუბლიკის მთელი საცალო საქონელბრუნვის 30,5 პროცენტს შეადგენდა.

მაგრამ სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ მიღწეული შედეგები მოსახლეობისა და კოლმეურნეობების საგაჭრო მომსახურების დარგში კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ახასიათებს ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას, კოოპერაციულ ვაჭრობას სოფლად.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები მოწოდებული არიან სრულყოფილად დაეუფლონ მათთვის მინდობილ საქმეს, გულდასმით შეისწავლონ მოსახლეობის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, გულისხმიერად მოეკიდონ კოოპერაციის წევრების წინადადებებს, აქტიურად დაუჭირონ მხარი მათს შემოქმედებითს თაოსნობასა და წამოწყებას, მტკიცედ დაეუფლონ კოოპერაციული მეურნეობის მართვის საქმეს და უზრუნველყონ სავაჭრო-საფინანსო გეგმების სისტემატიური შესრულება, მაღალ საფეხურზე აიყვანონ ვაჭრობის კულტურა.

ამჟამად საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის შემადგენლობაში ირიცხება 40 ქვეყნის კოოპერაციული ორგანიზაციები, რომელთა ინდივიდუალური წევრების რიცხვი 121 მილიონ კაცს აღემატება.

საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის წევრია 1921 წლიდან. იგი ალიანსის ყველაზე დიდ ორგანიზაციას წარმოადგენს.

საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის წევრად შესვლის მომენტიდან საბჭოთა კოოპერატორები თანმიმდევრულად იბრძვიან ალიანსის წესდების პრინციპების მტკიცედ დაცვისათვის, მშვიდობისათვის, მშრომელთა ეკონომიური და სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის, მსოფლიოს ყველა ქვეყნის კოოპერაციულ ორგანიზაციებს შორის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოებისათვის. სამწუხაროა, რომ საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის ავტორიტეტის მთელ მსოფლიოში განმტკიცებას დიდად უშლის ხელს ის, რომ ალიანსის წევრებად დღემდე არ არიან მიღებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და ალბანეთის კოოპერაციული ორგანიზაციები.

სრულიად არანორმალურია ის, რომ ეს ქვეყნები, რომლებიც მოიცავენ ალიანსში გაერთიანებულ კოოპერაციულ ორგანიზაციათა წევრების საერთო რაოდენობის ორ მესამედზე მეტს, განზე არიან დატოვებული, მიღებული არ არიან ალიანსის წევრად. საბჭოთა კოოპერატორები ამას შეუწყნარებლად თვლიან და მოითხოვენ ამ მდგომარეობის გამოსწორებას, რაც გააადვილებს სხვადასხვა ქვეყნის კოოპერაციულ ორგანიზაციებს შორის კონტაქტების დამყარებას.

ამჟამად კოოპერატორები ემზადებიან საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის XX კონგრესისათვის, რომელიც შედგება 1957 წლის აგვისტოში ქალაქ სტოკჰოლმში. ამ კონგრესისათვის მზადებამ და მისმა ჩატარებამ ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს საერთაშორისო კოოპერაციული მოძრაობა, შეამჭიდროოს მისი რიგები.

კონგრესი განიხილავს საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს, მოხსენებებს კოოპერაციის განვითარების შესახებ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში და შვეიცის კოოპერაციული კავშირის მოხსენებას თემაზე „კოოპერაცია მსოფლიო ეკონომიურ განვითარებაში და მშვიდობა“. კონგრესზე განხილული იქნება აგრეთვე „ცენტროსოიუზის“ მოხსენება საერთაშორისო კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების, ამ საქმეში არსებულ სიძნელეთა დაძლევისა და არსებულ შესაძლებლობათა გამოყენების, აგრეთვე საერთაშორისო კონტაქტების გაფართოების შესახებ.

საბჭოთა კოოპერატორები, როგორც წინათ, ისე მომავალშიც გააკეთებენ ყველაფერს, რაც მათზეა დამოკიდებული, საერთაშორისო კოოპერაციულ მოძრაობასა და ეროვნულ კოოპერაციულ ორგანიზაციებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის, საერთაშორისო კოოპერაციული ვაჭრობის გაფართოებისათვის.

კოოპერაციის საერთაშორისო დღეს ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანები მოუწოდებენ ხალხებს გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის, კოოპერაციული მოძრაობის ერთიანობისათვის, ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

ზ. კეცხოველი,
ცკკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

საინტერესო აღმოჩენა

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დარბაზში დიდი გამოცოცხლება იყო. ყველას ყურადღება მიპყრობილი იყო მაგიდაზე მდებარე მოცისფრო სწორკუთხოვანი ქვის ფილასადმი, რომლის ზემო ნაწილში ჯვარია გამოსახული, ხოლო ქვემო ნაწილი შესანიშნავად არის მოჩუქურთმებული. მაგრამ ამ შემთხვევაში მნახველებს იზიდავდა არა მარტო უძველესი წინაპრის მიერ შესრულებული ორნამენტი, არამედ ის საინტერესო წარწერა, რომელიც მოთავსებულია ჯვრის ზემო და ქვემო ნაწილებს შუა და რომელზეც ასომთავრული, ნუსხა და გარდამავალი მხედრული ნარევი ხელით ამოკვეთილია შემდეგი სიტყვები (ქარაგმების გახსნით): წმიდაჲ მიქელ მთავარანგელოზო. მე ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთეებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისასა საყდრისა შეილთათვის უამთა შინა ალფარასალან სულტანისაგან ოხრობისთა ქორონიკონსა სპვ (ე. ი. 1066 წ.).

ეს მეტად საინტერესო წარწერიანი ქვაჯვარი 28 ივნისს აღმოაჩინა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველოს ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მწერალი ლ. გოთუა, სპორტის ოსტატი მთასვლელი ა. ნემსიწვერიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი გ. გაფრინდაშვილი და ექიმი გ. ხეცურიანი.

ჯერ კიდევ 15 წლის წინათ მწერალმა ლ. გოთუამ იმოგზაურა ქარელის რაიონში სოფელ თრეხვის მიდამოებში. აქ მისი უურადღება მიიპყრო სოროთხევის ფერდობის ვერტიკალურ კედელში გამოკრილმა გამოქვაბულებმა. გავიდა დრო. ჩვენი ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მწერალს მოსვენებას არ აძლევდა ეს აზრი, რომ შეიძლებოდა ამ გამოქვაბულებში ქართული კულტურის ისტორიისათვის საინტერესო ძეგლი აღმოჩენილიყო.

და აი 23 ივნისს ლ. გოთუას ინიციატივით მოიწყო ამ ქვაბების დაზვერვითი ექსპედიცია.

მდინარე სოროთხევის მარცხენა მხარეს აღმართულია 200 მეტრი სიმაღლის ციცაბო ფერდობი, რომლის გაგრძელებას წარმოადგენს 70 მეტრი სიმაღლის ვერტიკალური კედელი. კლდეში გამოქვაბულები სამ ჯგუფად არის განლაგებული და კლდის ერთ შრეს გასდევს ერთ-ორ სართულად. პირველ ჯგუფში 11 ქვაბია. დანარჩენში ვარაუდით უნდა იყოს 6-7 სათავსი. ექსპედიციის წევრების ყურადღება მიიპყრო კლდის ერთ-ერთ შრეში ქვიტკირით აშენებულმა ეკლესიამ, მაგრამ იგი, ისევე როგორც ყველა სხვა გამოქვაბული, მთასვლელური ტექნიკით შეუღწევადი ადამიანისათვის მიუწვდომელი იყო.

ექსპედიციის წევრებმა ქვაბების საერთო დაზვერვის შემდეგ გადაწყვიტეს შესვლა ერთ-ერთ განაპირა 11-ქვაბიან ჯგუფში, ასევე მოახდინა ალპინისტმა ა. ნემსიწვერიძემ, რომელიც დაინტერესებულია გამოქვაბულთა შესწავლით და თავისი ენერგიული და დაუღალავი შრომით არა ერთი სამსახური გაუწევია ქართული კულტურის ისტორიის მკვლევართათვის.

ნემსიწვერიძეს მეტად რთულ პირობებში მოუხდა ქვაბში დაშვება. შესასვლელს მან შენიშნა კერამიკის ნაჭერი, რომელზეც გამოსახული იყო ორნამენტი. იქვე იატაკზე ეგდო ქვის ფილა, ნახევრად ჩაფლული მიწაში. როცა ნემსიწვერიძემ მას ხელი მოჰკიდა, აღმოჩნდა, რომ ისიც გატეხილი იყო. მის მახლობლად ამ ქვის ზემო ნაწილი ეგდო პირქვე. გადმოტრიალების შემდეგ მან შენიშნა წარწერა და ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობა ქვევით, ფერდობზე მყოფ ექსპედიციის დანარჩენ წევრებს. დიდი სიფრთხილითა და წვალებით დაუშვა მან საქართველოს წარსულის ეს საინტერესო ძეგლი. გ. გაფრინდაშვილმა თითქმის მთლიანად ამოიკითხა წარწერა, და იმავე დღეს ექსპედიციის წევრებმა თბილისში წამოიღეს ეს ქვა.

როგორც ქვაჯვარზე ამოკვეთილი წარწერიდან ჩანს, პიროვნება, რომელმაც თავისი მრეველისათვის ააშენებინა ეს ქვაბი, არის ლეონტი მროველი — XI საუკუნის მოღვაწე. ისტორიულ და ლიტერატურულ მეცნიერებაში ლეონტი მროველი ცნობილია როგორც ავტორი ნაწარმოებისა: „წამება არჩილ მეფისა“, „ეფესელთა ცოვრება“ და „ცხოვრება ფარნავაზისა“. მოვიკრიბოთ ამ ნაწარმოებთა ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ნაწილი მეცნიერებისა, კერძოდ, ნ. მარი, მ. ჯანაშვილი, მას VIII საუკუნის მოღვაწედ სთვლიდნენ. ი. ჯავახიშვილი მას სთვლის XI საუკუნის პირველი ნახევრის, ს. კაკაბაძე — ამავე საუკუნის დასასრულის მოღვაწედ. კ. კეკელიძის გამოკვლევით კი მროველი XI საუკუნის დაახლოებით სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების მოღვაწეა.

გ. გაფრინდაშვილის მიერ წარწერის გაშიფვრით თრეხვის გამოქვაბულში აღმოჩენილი წარწერიდან ირკვევა, რომ ლეონტი მროველი მოღვაწეობდა ბაგრატ IV-ის მეფობაში.

იმის გარკვევას, ახლად აღმოჩენილ ქვის წარწერაში მოხსენიებული ლეონტი მროველი არის თუ არა სწორედ ის, რომელიც წარმოადგენს მეცნიერთა კვლევის საგანს, მიეძღვნა ამ დღეებში აკადემიის დარბაზში გამართული სხდომა. აქ ლეონტი მროველის პიროვნების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებანი გამოთქვეს აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ, პროფესორმა ს. ყაუხჩიშვილმა, ისტორიკოსმა ს. კაკაბაძემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ვ. დონდუამ, მ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა. ერთხმად აღინიშნა ამ ახალი აღმოჩენის დიდი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში.

თრეხვის ქვაბთა შესწავლას განაგრძობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი ექსპედიცია.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათზე: ახლად აღმოჩენილი ქვაჯვარი ლეონტი მროველის წარწერით.

ფოტო გ. გაფრინდაშვილისა.

ლიტერატურა და ხელოვნება

ი. გრიშაშვილის ლექსების კრებული სომხურ ენაზე

ამას წინათ სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ „ჰაიპეტჰრატმა“ სომხურ ენაზე გამოსცა გამოჩენილი ქართველი პოეტის იოსებ გრიშაშვილის ლექსების ახალი კრებული.

კრებულში შეტანილია სამოცდაათზე მეტი ლექსი, რომლებიც დაწერილია პოეტის ორმოცდაათი წლის სამწერლო მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში.

ლექსების თარგმანები შესრულებულია ავეტიქ ისააკიანის, გეღამ სარიანის, სილვა კაპუტიკიანის, ვაღარშაკ ნორენცის, მარო მარკარიანის, სოლომონ ტარონცის, ვაპაგნ დავთიანის, ალავნის, ვაგრამ ალაზანის, მკრტიჩ კორიუნის და სხვა სომეხი პოეტების მიერ.

კრებულს წამძღვარებული აქვს ავეტიქ ისააკიანის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა, რომელშიც მოკლედ, მაგრამ ღრმად განხილულია ი. გრიშაშვილის შემოქმედებითი გზა. წიგნს დართული აქვს პოეტის პორტრეტი, შესრულებული მხატვარ გ. კოხანის მიერ.

ი. გრიშაშვილის ლექსების სომხური თარგმანები შესრულებულია კარგად. მათს უმრავლესობაში შენარჩუნებულია პოეტის ენისა და სტილის თავისებურებანი. ა. ისააკიანისა და გ. სარიანის საუცხოო თარგმანებს გარდა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ვ. ნორენცის თარგმანები.

სომხეთის რესპუბლიკური პრესა მაღალ შეფასებას აძლევს სომხურ ენაზე გამოცემულ ი. გრიშაშვილის ლექსების ახალ კრებულს.

„ცისფერი დუნაის“ კონცერტები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში კონცერტებს მართავს უნგრეთის ხალხური მუსიკალური ანსამბლი „ცისფერი დუნაი“ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო არტისტის შანდორ იაროკის მხატვრული ხელმძღვანელობით.

„ცისფერი დუნაი“ ერთი მთლიანი კოლექტივი, რომელსაც ძალიან პროფესიული ოსტატობა ახასიათებს. ანსამბლის რეპერტუარს მთლიანად შენარჩუნებული აქვს ეროვნული ხალხური კოლორიტი. სცენაზე ეფერს სიმებიანი ორკესტრი. მომღერლები გამოდიან თუ საცეკვაო ნომრებს აჩვენებენ, მაყურებელი გონების თვალით გადადის უნგრეთში—იმ ქვეყანაში, სადაც ძლიერ უყვართ ვიოლინოს მელოდიები, ხალხური სიმღერები და ტემპერამენტიანი ცეკვა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო არტისტი შანდორ იაროკი დირიჟორობს ანსამბლს და უკრავს ვიოლინოს. ორკესტრი, რომელშიც შედის ვიოლინო, კლარნეტი, ციმბალი და ჩელო, ასრულებს ისეთ რთულ ნაწარმოებებს, როგორიც არის, მაგალითად, ლისტის მეორე უნგრული რაფსოდია. თვითონ შანდორ იაროკი ვიოლინოზე კარგად ასრულებს ცნობილ ქართულ სიმღერას „სულიკოს“. შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა ციმბალის დამკვრელი დიული რაკი.

პირველ კონცერტზე დიდი წარმატება ხვდა უნგრეთის რადიოს მომღერალ ქალს შარი ვერეშს, რომელმაც შეასრულა რამდენიმე უნგრული ხალხური სიმღერა.

ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფმა (ხელმძღვანელი ლასლო ნარფრადი) ცოცხლად და მხიარულად შეასრულა ხალხური ცეკვები. მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა მოცეკვავე ქალთა ჯგუფმა, რომელმაც შეასრულა „ცეკვა გრაფინებით“. ეს ცეკვა სრულდება ორკესტრის აკომპანემენტით, ქალები მღერიან, ცეკვავენ, ხოლო თავზე დადგმული აქვთ ღვინით სავსე გრაფინები. მოცეკვავეთა ჯგუფმა გამოავლინა გასაოცარი სისწრაფე და მაღალი ქორეოგრაფიული ოსტატობა. კარგი იყო ვაჟთა ჯგუფის მიერ შესრულებული „ბოჭური ცეკვა“.

კონცერტზე ჩაქურებიან მოცეკვავე ვაჟთა ჯგუფმა შეასრულა ქართული ცეკვა „ხორუმი“. ეს ცეკვა უნგრელმა სოლისტებმა აზერბაჯანში გასტროლების დროს მოამზადეს და პირველად თბილისში დადგეს.

ბ. ბახტურიძე.

უნგრეთის ხალხური მუსიკალური ანსამბლის „ცისფერი დუნაის“ მოცეკვავეთა გამოსვლა.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი ტანკერი

ხერსონის გემთმშენებელმა ქარხანამ ვადაზე ორი თვით ადრე ჩაუშვა წყალში დიდი საოკეანო ტანკერი „მოსკოვის ფესტივალი“, რომლის წყალწყვა 16 ათას ტონას უდრის. ასეთი სახელწოდება გემმა იმიტომ მიიღო, რომ ქარხნის კომკავშირელებმა, ახალგაზრდობამ გადაწყვიტეს ვადაზე ადრე აეგოთ იგი და საექსპლოატაციოდ გადაეცათ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალის გახსნისათვის.

სასოფლო დიზელ-ელექტროსადგური

მელიტოპოლის კომკავშირის 30 წლისთავის სახელობის ქარხანამ დამზადებულია სოფლის მეურნეობისათვის ახალი მცირეგაბარიტიანი დიზელ-ელექტროსადგურის პირველი ნიმუშები. ელექტროსადგურს აქვს მაღალეკონომიური ერთ-ცილინდრიანი 15 ცხენის ძალის სიმძლავრის დიზელი და ცვლადი სამფაზიანი დენის გენერატორი. ელექტროსადგური განუწყვეტლივ მუშაობს და მომსახურე პერსონალი არ სჭირდება. მას არ სჭირდება არავითარი საძირკველი და მისი ტრანსპორტირება ადვილად შეიძლება.

ზვედური თბომავალი

ინგლისურ გაზეთ „ფაინენშლ ტაიმსის“ ცნობით შვეციაში ნორვეგიის სახელმწიფო რკინიგზების დაკვეთით აგებულია თბომავალი, რომლის მაქსიმალური სიჩქარეა 65 მილი (104,5 კილომეტრი) საათში, წევის მაქსიმალური ძალა — 25 ტონა, ხოლო წონა — 98 ტონა.

კიევის ექსკავატორები

კიევის ქარხანა „წითელ ექსკავატორში“ დამზადებულია საცდელი ნიმუში ჰიდრავლიკური ექსკავატორისა „ეტნ-122“. მისი დანიშნულებაა ტრანშეების გაჭრა სატელეფონო და ელექტრონის კაბელებისათვის.

ახალი

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

„ჩვენი პარტია სოლიდარობას უცხადებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს“

„ტრიბუნა ლიუდუ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ

ვარშავა, 4 ივლისი. (საკდესი). დღეს პოლონეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ და ტექსტი პლენუმის დადგენილებისა გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩისა და ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ.

„ტრიბუნა ლიუდუ“, „ეიცე ვარშავი“ და სხვა გაზეთები ბეჭდავენ „პრავდაში“ 3 ივლისს გამოქვეყნებული მოწინავე სტატიის „ურყევი ერთიანობის“ შინაარსს. „ტრიბუნა ლიუდუ“ ათავსებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობას სათაურით „მოსკოვის პარტიული აქტივი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას“. ავტორი წერს დედაქალაქის პარტიული აქტივის კრების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება.

გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს უძღვნის მოწინავე სტატიას სათაურით „პარტიის სწორი ხაზისა და ერთიანობისათვის“. გაზეთი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ, საბჭოთა კავშირში მოხდა დიდმნიშვნელოვანი და დადებითი ცვლილებანი, რომლებიც დაწყებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინიციატივით. საკმარისია გავიხსენოთ სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება, ყოველივე ამის თავიდან აცილება, რაც კანონიერების დარღვევა და ადამიანის უფლებათა შეუფასებლობა იყო. შეიქმნა პირობები საბჭოთა რესპუბლიკების სწრაფი განვითარებისათვის. უკანასკნელ კვირეებში განხორციელდა მრეწველობის მართვის მთელი სისტემის ფუნდამენტალური გარდაქმნა. გუმჯობესდა სოციალისტური ბანკის ქვეყნებისა და პარტიების ურთიერთობა, რაც ახლა ემყარება თანასწორობის ლენინურ პრინციპებს. ამის გამოხატულება, კერძოდ, იყო სსრ კავშირის მთავრობის 1956 წლის 30 ოქტომბრის ცნობილი დეკლარაცია საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ანტიპარტიული ჯგუფი გამოდიოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამ ახალ ღონისძიებათა წინააღმდეგ. პარტიის სწორი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, წერს „ტრიბუნა ლიუდუ“, ეს ჯგუფი დაადგა ფრაქციული საქმიანობის გზას. გამოცდილება გვასწავლის, რომ მუშათა პარტიისათვის ფრაქციულობაზე უფრო დიდი საფრთხე არ არსებობს. არც ერთ პარტიას არ შეუძლია იარსებოს და განვითარდეს, თუ ბოლოს არ მოუღებს ფრაქციულობას. სწორედ ასე მიიჩნია ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. აქედან — მტკიცე ბრძოლა ფრაქციული ჯგუფის წინააღმდეგ, ბრძოლა პარტიის ერთიანობისა და მისი სწორი პოლიტიკის დასაცავად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის იდეებს, წერს შემდეგ „ტრიბუნა ლიუდუ“, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება—ეს არის განგრძობა ბრძოლისა XX ყრილობის იდეების განხორციელებისათვის, ყოველივე ამის აღმოფხვრისათვის, რამაც დრო მოჭამა. იდეები, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის დადგენილებაში, წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარებისათვის ბრძოლის გამოვლინებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას, ხაზგასმით აღნიშნავს დასასრულ „ტრიბუნა ლიუდუ“, საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ეს გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის როლიდან სოციალისტურ ხალხთა ოჯახში და მისი როლიდან მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში. ყოველივე, რაც განმტკიცებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანობას და გზას უკაფავს საბჭოთა კავშირის შემოქმედებითს განვითარებას, ყოველივე ეს ამავე დროს განამტკიცებს სოციალიზმისა და მშვიდობის ძალებს. ჩვენი პარტია სოლიდარობას უცხადებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ისინი მიიჩნია ცოცხალი შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებად.

გულგარეთი

სოფია, 4 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის ყველა გაზეთი აქვეყნებს დღეს საინფორმაციო ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“. გაზეთები აქვეყნებენ აგრეთვე „პრავდის“ სტატიის „პარტიის ლენინური ერთიანობა მისი უძლეველი ძალის წყაროა“ სრულ ტექსტს და „პრავდის“ მოწინავე სტატიას „ურყევი ერთიანობა“.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 4 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური გაზეთები აქვეყნებენ ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ.

რუმინეთი

ბუქარესტი, 4 ივლისი. (საკდესი). ბუქარესტის ყველა დღევანდელმა გაზეთმა გამოაქვეყნა საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“ და ოცკლენგარიში მოსკოვის პარტიული აქტივის კრების შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 4 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები პირველ გვერდზე აქვეყნებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“. გაზეთი „ნოიე დოიჩლანდი“ აქვეყნებს ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის არჩევის შესახებ.

კომენტარს უკეთებს რა პლენუმის დადგენილებას, გაზეთი „ნოიე �იტი“ სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა თახმიმდევრული განხორციელება“. გაზეთი „ნაციონალ-ციტუნგი“ აღნიშნავს, რომ პლენუმის გადაწყვეტილების შედეგად განმტკიცდა პარტიული ხელმძღვანელობის ერთიანობა.

გაზეთები აქვეყნებენ ოგრეთვე ცნობებს მოსკოვის პარტიული აქტივის კრების შესახებ, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება გ. მ. მალენკოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ, ოგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ქალაქებში პარტიული აქტივების კრებების შესახებ.

საერთაშორისო დემოკრატიის ქვეყნების ენაზე მოგვითხრობს

友好报

ყრუმუნჯები სწავლობენ სმენასა და ლაპარაკს

ეს მოხდა 28 მაისს დღის მეორე ნახევარში. ყრუმუნჯთა კურსების შენობაში, რომელიც ქალაქ შანხაიში სინიანლუს ქუჩაზე მდებარეობს, კურსანტები გარს შემოეხვივნენ თავიანთ სამ ამხანაგს, რომლებიც ამ დროს ლაპარაკს სწავლობდნენ. როდესაც ერთმა მუნჯმა გვარად ჯანმა წარმოთქვა: „გაუმარჯოს მაო ძე-დუნს“ — ყველამ სიხარული განიცადა.

ჯანი 13 წლისაა. სამი წლის ასაკში გადატანილი ავადმყოფობის შედეგად მას დაუზიანდა ყურის ფეხკები და დაეკარგა სმენისა და ლაპარაკის უნარი. იმ დღეს, რომელზეც აქ ლაპარაკია, მან ელექტროდენით ბგერის გადამცემი ქიმიური კრისტალის და გამაძლიერებლის მეშვეობით გაიგონა ბგერები. შემდეგ ჯანმა დახედა იეროგლიფებს, ყური დაუგდო ადამიანის მეტყველებიან ბგერებს და წარმოთქვა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი“.

კრისტალების შემწეობით სხვა მუნჯებმაც დაიწყეს ბგერების წარმოთქმა. სათანადო წვრთნის შემდეგ მათ უკრისტალებოდ მოახერხეს წარმოეთქვათ სიტყვები: „გაუმარჯოს მშვიდობას!“.

კერძო მხარის წარმომადგენლებმა შენ სუნ-ლუნმა და ლი ხუა-ციმ, რომლებიც ელექტროსაქონლის მაღაზიაში — „იუნგუში“ მუშაობენ, გადაწყვიტეს თავისუფალ დროს მოეხდინათ ცდები კრისტალებზე. აღმოჩნდა, რომ 10 მუნჯიდან, რომლებმაც ყურების ავადმყოფობის გამო სმენა დაკარგეს, 9 მუნჯმა კრისტალების დახმარებით ისწავლა ბგერების შეცნობა. მაშასადამე, არის შესაძლებლობა მათ ვასწავლოთ ადამიანებთან ლაპარაკი.

ეს ქიმიური კრისტალები ძალიან მოხერხებულია. ერთი გამაძლიერებლით შეიძლება 50-60 კრისტალის შეერთება, რაც 50-60 ყრუმუნჯს ერთსა და იმავე დროს საშუალებას მისცემს გაარჩიონ ბგერები იმისათვის, რომ ისწავლონ ლაპარაკი ან სმენა.

გაზ. „დრუჟბა“.

უჩვეულო ამბავი

ინდოეთის ქალაქ დელის დასავლეთით 320 კილომეტრზე არის ქალაქი ბიკანერი. 17 თებერვალს ამ ქალაქში გაიმართა 750 წყვილის საქორწინო ცერემონია. ამ წყვილებიდან 90 პროცენტს შეადგენდნენ ბავშვები ასაკით 4-დან 16 წლამდე. ადგილობრივი ეროვნების ადათის მიხედვით აქ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება ამგვარი საქორწინო ცერემონია.

გაზ. „დრუჟბა“.

НОВАЯ КОРЕЯ

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალის წინ

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა აქტიურად ემზადება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალისათვის. მზადებას ხელმძღვანელობს სრულიად რესპუბლიკური მოსამზადებელი კომიტეტი.

შემდგარია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სამხატვრო კოლექტივი, რომელიც წარმოდგენილი იქნება ფესტივალზე. იგი 240 კაცისაგან შედგება. კოლექტივი სრული შემადგენლობით 4 მარტიდან შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას. ზწავლობს „მეთევზეთა სიმღერას“, „მშვიდობიანი გაერთიანების მარშს“ და სხვა საგუნდო ნომრებს, ოპერა—ჩანგიკ „თქმულება სიმ ჩენზე“, „კოკებით ცეკვას“ და ა. შ.

ფესტივალზე გამოვლენ ჩვენი ახალგაზრდა ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რიცხვით დაახლოებით 110 კაცი. გამოყვანილი იქნებიან მძლეოსნობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ტანვარჯიშის, ჭიდაობის, კრივის, აგრეთვე ველოსიპედისტებისა და შტანგისტების გუნდები.

ეურნალი „ნოვაია კორეა“. № 4.

НАРОДНАЯ РУМЫНИЯ

ვინ გაიმარჯვებს?

მიმდინარე წლის გაზაფხულზე პლოეშტის 1 მაისის სახელობის ნავთობმოწყობილობის ქარხნის ახალგაზრდა მუშებმა თავიანთ საწარმოში მოაწყეს სოციალისტური შეჯიბრება. გაჩაღებული შეჯიბრების დროს ახალგაზრდობამ გადადგა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი: პლოეშტის ოლქის ორმოცი საწარმოს ახალგაზრდობას წინადადება მისცა მოეწყო შეჯიბრება დანაზოგების განხორციელებისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალის აღსანიშნავად.

საწარმოებმა მიიღეს გამოწვევა. ძნელია იმის თქმა, თუ ვინ გაიმარჯვებს. ჯერჯერობით ცნობილია ასეთი შედეგები: პლოეშტის 1 მაისის სახელობის ქარხანაში ახალგაზრდობამ დღემდე სახელმწიფოს დაუზოგა 69 ათასი ლეი; კომბინის მექანიკურ ქარხანაში — 66.783 ლეი; ხინაიის ი. კ. ფრიმუს სახელობის ხაწარმოში — 30.000 ლეი; გ. გეორგიუ-დეჟის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში — 80.000 ლეი; პლოეშტის რკინიგზის სახელოსნოებში — 85.635 ლეი.

ეურნალი „ნაროდნაია რუმინია“ № 5.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუქარესტი, 4 ივლისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ა. წ. 28-29 ივნისსა და 1-3 ივლისს მიმდინარეობდა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ამხანაგ გ. გეორგიუ-დეჟის მიერ წარდგენილი პოლიტბიუროს საანგარიშო მოხსენება რუმინეთის მუშათა პარტიის საქმიანობის შესახებ ამ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც რუმინეთის მუშათა პარტიის II ყრილობამ დასახა და ამ დასკვნებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ საერთაშორისო ამბებიდან და კომუნისტური და მუშათა პარტიების მოღვაწეობიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გაკვეთილების მიხედვით.

პლენუმმა ერთხმად მოიწონა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საანგარიშო მოხსენება და მიღებულ რეზოლუციაში დასახა პარტიის მოღვაწეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხ. ი. კიშინევსკი გათავისუფლა პოლიტბიუროს წევრობისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან და ამხ. მ. კონსტანტინესკუ რუმინეთის მუშათა პარტიის პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 4 ივლისი. (საკდესი). დღეს პარიზის მუშათა გარეუბან ივრიში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. მშვიდობისათვის ბრძოლა და კომუნისტთა წელილი მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის განმტკიცებაში (მომხსენებელი ანდრე სუკარი).
2. პარტიული კადრების მომზადება და აღზრდა (მომხსენებელი გი დიუკოლონე).
3. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის იმ დელეგაციათა ანგარიში, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებთან.

ჯან ბო-ძიუნი უკან იხევს

პეკინი, 4 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატების გუშინდელ ჯგუფობრივ სხდომაზე და მუშურ-გლეხური დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე მოსანანიებელი სიტყვა წარმოთქვა ამ პარტიის თავმჯდომარემ ჯან ბო-ძიუნმა, რომელიც მეთაურობდა „მემარჯვენეთა“ გამოსვლას კომპარტიის წინააღმდეგ.

აღიარა რა თავისი კავშირი ჩინეთის დემოკრატიული ლიგის თავმჯდომარის მოადგილესთან ლო ლუნ-ძისთან, ჯან ბო-ძიუნმა ილაპარაკა, რომ შარშან მათ შეადგინეს პოლიტიკური კავშირი. ჩემი პატივმოყვარე გეგმების შესასრულებლად, ამბობს ჯან ბო-ძიუნი, ვფიქრობდი ლო ლუნ-ძის მეშვეობით მომეპოვებინა ინტელიგენციის მხარდაჭერა, მსურდა, რომ დემოკრატიულ ლიგას გაეწყვიტა კავშირი კომუნისტურ პარტიასთან. ილაპარაკა რა თავის მოქმედებაზე ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, მან ამ მოქმედებას თვალთმაქცური უწოდა.

ჯან ბო-ძიუნის აღიარებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის, უნგრეთისა და პოლონეთის ამბების შემდეგ მისმა მომხრეებმა გადაწყვიტეს, რომ დადგა მოქმედების დრო. მე, თქვა მან, დავიწყე საბჭოთა კავშირის რევოლუციური ძლიერების, ი. ბ. სტალინის მოღვაწეობის დადებითი მხარეების უარყოფა და. სათანადოდ არ ვაფასებდი რა საბჭოთა კავშირს წარმატებებს, ვაკრიტიკებდი მას.

დაპაჭიმრება იორდანიაში

ლონდონი, 4 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ამანიდან გადმოგვცემს, სამხედრო გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ნაბლუსის რაიონში დაპატიმრეს 14 კაცი, მათ შორის პარლამენტის რამდენიმე წევრი „იორდანიაში ამას წინათ მომზდარ დემონსტრაციებსა და უწესოებაში მონაწილეობისათვის“. გამოძიების დამთავრების შემდეგ მათ სამხედრო ტრიბუნალის სამართალში მისცემენ.

ნერუს განცხადება პრეს - კონფერენციაზე

დელი, 4 ივლისი. (საკდესი). დელის რადიომ გამოაქვეყნა ცნობა ლონდონში პრეს-კონფერენციაზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს გამოსვლის შესახებ. უპასუხა რა ერთ-ერთი კორესპონდენტის კითხვას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ, ნერუმ დადებითად შეაფასა ეს გადაწყვეტილებანი.

როგორც ნერუმ განაცხადა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებები, ალბათ, ცხადყოფენ პროცესებს, რომლებიც ხდებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ჩვენ, თქვა მან, შეგვიძლია ამ პროცესებში დავინახოთ საღი ნაბიჯი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი ამხ. მიხეილ გიორგის-ძე პერეუხინი გაათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვი გათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.



1 ივლისს მაღალმთიან კურორტ ბახმაროში გაიხსნა საკურორტო სეზონი. ეს კურორტი ცნობილია იმით, რომ აქ ერთმანეთთან შეხამებულია მთისა და ზღვის ჰაერი. ბახმაროს სანატორიუმში, კოხტა პატარა ოდებში ყოველწლიურად 20 ათასამდე მშრომელი ისვენებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

სურათზე: ბახმაროს ხედი გზატკეცილიდან.

ფოტო ა. აბულაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

★

საერთაშორისო ფეხბურთი

მოსკოვი. 5 ივლისი. დღეს აქ შეიდგა მ[illegible] რიგი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფ[illegible] ბურთში. თამაშობდნენ იტალიის კლუბის „ფ[illegible] ორენტინასა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ გუ[illegible] დები. შეჯიბრება დამთავრდა სპარტაკელ[illegible] გამარჯვებით ანგარიშით 4 : 1.

• • •

საბჭოთა კავშირში იმყოფება ბულგარეთ[illegible] გუხდი „სპარტაკი“ (ვარნა). ამ დღეებში სტუ[illegible] რებმა საერთაშორისო მატჩი გამართეს ივან[illegible] ვოში ადგილობრივ „კრასნოე ზნამიასთან“. გ[illegible] იძარჯვეს ბულგარეთის ფეხბურთელებმა 2 :

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

კიევი. 3 ივლისი. აქ გაიმართა მატჩი ფ[illegible] ბურთში საკავშირო პირველობაზე შინ[illegible] „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდებ[illegible] შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1 : 1.

ირანელი ფეხბურთელები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ირანის შეიარ[illegible] ღებული ძალების ფეხბურთელთა ნაკრებ[illegible] გუნდი. სტუმრებს აეროდრომზე გულთბილ[illegible] შეხვედრა ძოუწყეს. ირანელმა სპორტსმენებ[illegible] დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ა[illegible] გილები, იყვნენ სტალინის სახელობის კულ[illegible] ტურისა და დასვენების პარკში.

ირანის ფეხბურთელები 8 ივლისს „დინ[illegible] მოს“ სტადიონზე გამართავენ საერთაშორის[illegible] ამხანაგურ მატჩს. მათ წინააღმდეგ ითამაშებ[illegible] თბილისის საოლქო სასპორტო კლუბის გუნ[illegible]

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაცაკაძე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის მე-4 სამედიცინო სასწავლებელი აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორებზე 1957-58 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს: კვალიფიციურ სანიტარულ ფერშლებს, რომლებიც სარგებლობენ უპირატესობით იმუშაონ ექიმის თანაშემწეებად ინფექციურ საავადმყოფოში, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების ლაბორატორიებში, სანექიმებს და ექიმ ეპიდემიოლოგების თანაშემწეებად, სადეზინფექციო სადგურებსა და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში.

სასწავლებელში მიიღებიან: ორივე სქესის 14-დან 30-მდე წლის ასაკის პირები. I კურსის რუსულ სექტორზე არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ხოლო მე-2 კურსის ქართულ სექტორზე სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

სწავლის ხანგრძლივობა არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სამი წელი, ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის ორი წელი.

I კურსის რუსულ სექტორზე უგამოცდოდ მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, დანარჩენები აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: რუსულ ენაში (წერა, კარნახი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი).

II კურსის ქართულ სექტორზე უგამოცდოდ მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მედალოსნები, დანარჩენები აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ქართულ ენაში (ზეპირი).

მისაღები გამოცდები დაიწყება რუსულ სექტორზე 5 აგვისტოდან, ხოლო ქართულ სექტორზე 6 აგვისტოდან.

სასწავლებელში შემომსვლელს დირექტორის სახელზე შემოაქვს განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: 1) განათლების მოწმობა (დედანი), 2) დაბადების მოწმობის ასლი შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, 3) ავტობიოგრაფია, 4) 3 ცალი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ, 5) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286), 6) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 7) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედროვალდებულთათვის), 8) ცნობა სამსახურიდან მუშაობის სტაჟის შესახებ და 9) სამსახურებრივი დახასიათება.

საბუთების მიღება წარმოებს სასწავლებლის კანცელარიაში ა. წ. 25 ივნისიდან დილის 10-დან 4 საათამდე. სასწავლებელში ჩარიცხულ მოსწავლეებს აკადემიური წარმატებისა და ოჯახური პირობების მიხედვით დაენიშნებათ სტიპენდია, ხოლო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, მოხვედრილნი გამოშვების 5%-ში სარგებლობენ ვერცხლისმედალოსნის უფლებებით სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლში შესვლისას.

სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს. მეცადინეობა იწარმოებს საღამოს 5 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა № 25. ტელეფონი № 3-55-91.

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1957-1958 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: მათემატიკა — 50 ადგილი, მექანიკა — 25, ფიზიკა — 150 (ქართული და რუსული განყოფილებები), ქიმია — 50, გეოგრაფია — 25, გეოლოგია — 15, ბიოლოგია — 25, ისტორია — 25, ქართული ენა და ლიტერატურა — 25, რუსული ენა და ლიტერატურა — 25, ჟურნალისტიკა — 20, ინგლისური ენა და ლიტერატურა — 15, გერმანული ენა და ლიტერატურა — 15, ფრანგული ენა და ლიტერატურა — 10, ირანული ენა და ლიტერატურა — 5, თურქული ენა და ლიტერატურა — 7, სემიტოლოგია — 3, მრეწველობის ეკონომიკა — 15, ფინანსები და კრედიტი — 25, საბუხალტრო აღრიცხვა — 15, სამართლისმცოდნეობა — 25.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 35 წლამდე ასაკისა, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა.

იმ პირთათვის, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ტექნიკუმი ან სპეციალური საშუალო სასწავლებელი, სავალდებულოა კანონით გათვალისწინებული სამწლიანი საწარმოო სტაჟი.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ოქროს მედალოსნები და სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ წარჩინებით.

ვერცხლის მედალოსნები და ის პირები, რომლებსაც წარჩინებით აქვთ დამთავრებული სპეციალური საშუალო სასწავლებელი ან ტექნიკუმი, ითვლებიან გამოშვების 5 პროცენტში და შედიან სპეციალობით, აბარებენ ერთ საგანს სპეციალობის მიხედვით. ამ პირთათვის გამოცდები იწარმოებს 15 ივლისიდან 25 ივლისამდე. ამავე ვადებში იწარმოებს გასაუბრება ოქროს მედალოსნებთან.

ყველა დანარჩენი შემომსვლელი აბარებს მისაღებ გამოცდებს სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დაწესებულ საგნებში.

კონკურსის გარეშე ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, აგრეთვე სამამულო ომის მონაწილენი და საბჭოთა არმიისა და ფლოტის რიგებიდან დემობილიზებულნი.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სპეციალობის აღნიშვნით. შემდეგი საბუთების დართვით: ავტობიოგრაფია, ატესტატი ან დიპლომი (დედანი), პასპორტი და სამხედრო ბილეთი (ადგენენ პირადად), ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3×4 სმ ზომისა), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286), გაცემული სკოლის ან უბნის ექიმის მიერ, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დამოუშებელი, ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ. მუშაობის სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს საწარმოს ან დაწესებულების მიერ შემოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეებისათვის — ცნობა, გაცემული კოლმეურნის შრომის წიგნაკის საფუძველზე, დამტკიცებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, იმის აღნიშვნით, თუ ამბიტურიენტმა უნივერსიტეტში შემოსვლამდე უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ყოველწლიურად რამდენი შრომადღე გამოიმუშავა.

საბუთები მიიღება ამა წლის 31 ივლისამდე; მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან. უნივერსიტეტში შემომსვლელთათვის მოწყობილია კონსულტაციები საგამოცდო საგნებში.

დაწვრილებითი ცნობები — მიმღებ კომისიაში. მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 1, ტელეფონი № 3-28-66.

ტელეგადაცემათა პროგრამა
6 ივლისისათვის

20.00 — სატელევიზიო ეურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ № 5, 20.40 — მხატვრული ფილმი „შვიდობიან დღეებში“.

მოქალაქე ზაქარია სტეფანეს-ძე დიდებაშვილმა, მცხოვრებმა ელმავლის I შესახვ. № 2, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **რუსუდან სტეფანეს ასულ დიდებაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე გურამ მიხეილის-ძე სამსონაძემ, მცხოვრებმა ქ. თბილისში, რუსთაველის პროსპ. № 37, აღძრა საქმე ქ. სოხუმში, ჭავჭავაძის ქ. № 16 მცხოვრებ მოქალაქე **ლორა გრიგოლის ასულ ხვინგიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონ